

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებულ პროფესორების ვაკანტურ თანამდებობაზე, რექტორის 2025 წლის 5 აგვისტოს №167/01-01 ბრძანების საფუძველზე, გეოგრაფიის დეპარტამენტის “საქართველოს გეოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგმარების” და “ნიადაგების გეოგრაფიის” კათედრებზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 12 სექტემბრის №51/2025 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი

ქ. თბილისი

2 ოქტომბერი 2025

თსუ, მე-2 კორპუსი, ოთახი №202

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2025 წლის 5 აგვისტოს №167/01-01 ბრძანების საფუძველზე, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, გეოგრაფიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორების ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისათვის შემოვიდა სამი განაცხადი, აქედან საქართველოს გეოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრაზე ორი განაცხადი (1 სამშატო ერთეული - ა კატეგორია), ხოლო ნიადაგების გეოგრაფიის კათედრაზე 1 განაცხადი (1 სამშატო ერთეული - ა კატეგორია), თსუ აკადემიური საბჭოს 2025 წლის 12 სექტემბრის №51/2025 დადგენილების საფუძველზე შექმნილ საკონკურსო კომისიას საბუთები გადაეცა დალუქულ მდგომარეობაში და კომისია შეუდგა მუშაობას.

საკონკურსო კომისიის შემაჯამებელ სხდომას კომისიის 6 წევრიდან ესწრებოდა 5 წევრი.

კომისიის წევრი პროფესორი ნოდარ ელიზბარაშვილი, საბუთების განხილვის პირველი ეტაპის სხდომას – საკონკურსო დოკუმენტების შეფასებას არ ესწრებოდა, აკადემიური საბჭოს 118/2014 დადგენილების დანართი №1, მე-8 მუხლის, მე-2 პუნქტის საფუძველზე, მას საბოლოო გადაწყვეტილებაში და კენჭისყრისას ხმის მიცემის უფლება არ მიეცა.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. პროფ. ზურაბ სეფერთელაძე (კომისიის თავმჯდომარე);
2. პროფ. ლია მაჭავარიანი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. ასოც. პროფ. ლამიზირა ლალიძე (კომისიის მდივანი);
4. პროფ. დალი ნიკოლაიშვილი;
5. ასოც. პროფ. გიორგი ბრეგვაძე.

დღის წესრიგი:

საკითხი 1.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, გეოგრაფიის დეპარტამენტში საქართველოს გეოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრის ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის ვაკანტურ თანამდებობაზე (1 სამშატო ერთეული - ა კატეგორია) შემოსული 2 განაცხადის შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება, გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენა.

საკითხი 2.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გეოგრაფიის დეპარტამენტში ნიადაგების გეოგრაფიის კათედრის ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის ვაკანტურ თანამდებობაზე (1 საშტატო ერთეული - ა კატეგორია) შემოსული 1 განაცხადის შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება, გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენა.

საკითხი 3.

კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

საკითხი 1. კომისიის თავმჯდომარის პროფ. ზურაბ სეფერთელაძის შემაჯამებელი ინფორმაცია, კომისიის მიერ კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ. მან აღნიშნა, რომ საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის I ეტაპზე შემოწმდა და შეფასდა საკონკურსო დოკუმენტაცია. დოკუმენტები დალუქულ მდგომარეობაში იყო და კანდიდატის საკონკურსო დოკუმენტაციის ლუქებისა და შეფუთვის სიმრთელე დარღვეული არ იყო.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, გეოგრაფიის დეპარტამენტში საქართველოს გეოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრის ასოცირებული პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე განაცხადი ორმა კანდიდატმა შემოიტანა:

ა) რობერტ მაღლაკელიძე;

ბ) დავით სვანაძე.

ა) საქართველოს გეოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრის კონკურსანტის რობერტ მაღლაკელიძის შეფასება:

I ეტაპის შედეგების შეჯამება

კონკურსის პირველ ეტაპზე საკონკურსო კომისიის მიერ შემოწმდა საკონკურსო დოკუმენტაცია და შეფასდა წარმოდგენილ ანკეტაში მოყვანილი ინფორმაცია კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (აკადემიურ საბჭოს №118/2014 დადგენილების დანართი №4).

შეფასების I კატეგორიაში „ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“ წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე (კონკურსანტის განათლება, აკადემიური/ სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი), კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით “კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს”.

შეფასების II კატეგორიაში “პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან”, მოცემული მონაცემების საფუძველზე (კონკურსანტის პედაგოგიური მოღვაწეობა, თსუ-ში წაკითხული კურსები, სასწავლო-მეთოდური პუბლიკაციები, სილაბუსები და სხვ.), კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით “მაღალი”.

შეფასების III კატეგორიაში “სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა” წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე (იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები, საერთაშორისო

პუბლიკაციები, სამეცნიერო კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები, ციტირების ინდექსი, თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან და ა.შ.), კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით “მაღალი”.

კონკურსანტის მიერ კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი სამეცნიერო ნაშრომი კომისიის მიერ შეფასდა როგორც სამეცნიერო დონეზე შესრულებული და დარგთან სრულ შესაბამისობაში მყოფი სამეცნიერო ნაშრომი.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი კონცეფცია ჩამოყალიბებულია კათედრის პროფილის მიხედვით და გეოგრაფიის დარგის განვითარების პერსპექტივები განხილულია კომპლექსურად. ნათლად ასახავს კონკურსანტის ხედვას მიმართულების განვითარებაში, მის უშუალო წვლილს სასწავლო-სამეცნიერო პროცესის ხელშეწყობაში, გამოცდილებას, ასევე სტუდენტთა ჩართულობას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და სხვ. სადაც გამოკვეთილია კონკურსანტის უშუალო ჩართულობა და თაოსნობა საუნივერსიტეტო სივრცეში მიმდინარე როგორც კვლევით, ისე საგანმანათლებლო პროცესებში.

შეფასების IV კატეგორიაში “კონკურსანტის სხვა სახის აქტივობა” და “დამატებითი ინფორმაცია” წარმოდგენილია აქტივობების ჩამონათვალი: ყოველწლიურად სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის წევრი; დოქტორანტურაში მისაღები კომისიის წევრი; დოქტორანტების სამეცნიერო შრომების შეფასების კომისიის წევრი; სადოქტორო დისერტაციის დაცვის ერჯერადი კომისიის წევრი; ასისტენტ და ასოცირებულ პროფესორთა არჩევნების სააპელაციო კომისიის წევრი; ალექსანდრე ჯავახიშვილის სახ. საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების სამეცნიერო საბჭოს წევრი და შიდა ქართლის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე; ყოველწლიური შემაჯამებელი კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი; საკონფერენციო მასალების სარედაქციო კოლეგიის წევრი; საქართველოს კარტოგრაფიული სამეცნიერო საბჭოს წევრი და ნიადაგმცოდნეთა საზოგადოების წევრი; დოქტორანტებისა და მაგისტრანტების ხელმძღვანელი. თანამშრომლობს WoS იმპაქტ-ტფაქტორულ ჟურნალთან JEB (Journal of Environmental Biology) რეცენზენტის რანგში. ჟურნალიდან მიღებული აქვს მადლობის სერთიფიკატი. ახალგაზრდა თაობის თსუ-ში სწავლით დაინტერესებისათვის, კითხულობს ლექციებს საბავშვო უნივერსიტეტში გეოგრაფიის აქტუალურ საკითხებზე. შეფასების IV კატეგორიაში კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით “მაღალი”.

გადაწყვეტილება: კონკურსანტ რობერტ მაღლაკელიძეს მიენიჭა პრეტენდენტის სტატუსი და დაშვებულ იქნა მე-2 ეტაპზე. გასაუბრება დაინიშნა 2 ოქტომბერს 13:00 საათზე.

შეფასების I ეტაპის დასრულების შემდგომ, დადგენილი პროცედურის შესაბამისად, გაიმართა შეფასების მეორე ეტაპი – გასაუბრება.

II ეტაპის შედეგების შეჯამება

გასაუბრებისას კომისიის მიერ დასმული კითხვები ეხებოდა კონკურსანტის როგორც სასწავლო საქმიანობას, ისე სამეცნიერო თემატიკას, სამომავლო სამეცნიერო გეგმებს, სამეცნიერო კონცეფციას, სტუდენტთა პრაქტიკის ჩატარების საკითხებს, სალექციო კურსებს, იმპაქტ ფაქტორის მეორე ჟურნალ JEB-თან თანამშრომლობას, ლექციების კურსს, სხვაობად ლანდშაფტურ დაგეგმარებასა და ლანდშაფტურ ეკოლოგიურ დაგეგმარებას შორის.

დასაბუთება

კონკურსანტ რობერტ მაღლაკელიძის მიერ წარმოდგენილ სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში აქცენტები გაკეთებულია გეოგრაფიის შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე კომპლექსურ-გეოგრაფიულ ჭრილში. ეს მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ადეკვატურად შეესაბამება გეოგრაფიის, როგორც დარგის, სპეციფიკას. აქცენტი გაკეთებულია ისეთ გამოწვევებზე, რომლებიც თანამედროვე პერიოდშია აქტუალური.

მისი სამეცნიერო კვლევების კონცეფციის მრავალწახნაგობრიობა დაკავშირებულია ერთი მხრივ, თეორიულ, მეორე მხრივ, საველე კვლევასთან. იგი მრავალი წელი მუშაობდა მარტყოფის ფიზიკურ-გეოგრაფიულ სტაციონარზე, სადაც ატარებდა დაკვირვებებს სტაციონარის ფარგლებში და მის მიმდებარედ, საგურამო-იალნოს ქედის სამხრეთ ფერდობზე მოწყობილ ნახევრად სტაციონარულ სადგურებზე. მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ექსპედიციაში საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ. ეს მრავალწლიანი გამოცდილება მნიშვნელოვანია სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკების ორგანიზებისათვის. იგი გვთავაზობს სტაციონარული სასწავლო ბაზის ორგანიზებას მის პირად საკუთრება მყოფ პოლიგონზე საგურამო-იალნოს მთისწინეთში, სადაც გეოგრაფიის სპეციალობის სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ გაიარონ პრაქტიკა და დაკვირვებები ჩაატარონ კომპლექსურ-გეოგრაფიულ ჭრილში.

ამასთან კონკურსანტი ავტორია არაერთი სახელმძღვანელოსი, რომელიც განკუთვნილია უმაღლესი სკოლის სტუდენტებისათვის, მათ შორისაა საველე სახელმძღვანელო (სხვა ავტორებთან ერთად) კომპლექსურ-გეოგრაფიულ პრაქტიკაში.

კონკურსანტის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები გეოგრაფიის სხვადასხვა საკითხს შეეხება – ნიადაგების, ბიორესურსების და საერთოდ, ლანდშაფტების კვლევას. აქ იგი განიხილავს: ტყის დინამიკას, ბტკ-ების ვერტიკალურ სტრუქტურას, გეომასებს, კრიტიკულ ტერიტორიებს და სხვ.

კონკურსანტი რ. მაღლაკელიძე არაერთი საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეა და ამ მიზნით იგი მივლინებით იმყოფებოდა სხვადასხვა ქვეყანაში: ხორვატია, ავსტრია, ბულგარეთი, ჩეხეთი და სხვ. მოხსენებებს აკეთებს ასევე ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებზეც.

მნიშვნელოვანია ის საერთაშორისო კონტაქტებიც, რომელიც კონკურსანტს გააჩნია იმპაქტ-ფაქტორიან სამეცნიერო ჟურნალთან – JEB (Jornal of Environemantl Biology). რეგულარულად უწევს რეცენზირებას ჟურნალში წარდგენილ სტატიებს. 2026 წლიდან დაგეგმილია მისი ჩართვა აღნიშნული ჟურნალის სარედაქციო კოლეგიაშიც (წარმოდგენილი აქვს დამადასტურებელი დოკუმენტებიც). იგი მონაწილეობას იღებს ასევე სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებაში საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში, რომელიც ყოველწლიურად ტარდება და სადაც მონაწილეობას იღებენ ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებიც. მისასალმებელია, რომ მისი სურვილია ეს კონფერენციები საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებად გადაიქცეს და საკონფერენციო კრებულებიც გამოიცეს.

გასაუბრებისას რობერტ მაღლაკელიძემ გამოავლინა სამეცნიერო ერუდიცია და დარგობრივი პროფესიონალიზმი, სამეცნიერო და საგანმანათლებლო საკითხების ხედვა, პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემის უნარი, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნა. შესაბამისად, იგი შეესაბამება თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გეოგრაფიის დეპარტამენტის საქართველოს გეოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრაზე ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად.

შეფასება

რობერტ მაღლაკელიძე არის მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი – გეოგრაფი, აქვს თსუ-ში სასწავლო-სამეცნიერო სფეროში მუშაობის 40 წლამდე გამოცდილება, აღნიშნული პროფილით გამოქვეყნებული აქვს შრომები საერთაშორისო რეიტინგულ ჟურნალებში, თანამშრომლობს WoS იმპაქტ-ფაქტორულ ჟურნალთან JEB (Journal of Environmental Biology) რეცენზენტის რანგში, არის მონოგრაფიების თანაავტორი, მონაწილეობს საერთაშორისო ფორუმებში, კონტაქტი აქვს დარგში მოღვაწე საერთაშორისოდ აღიარებულ სპეციალისტებთან. სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში მიღებული გამოცდილება და პროფესიული უნარები სრულიად შეესაბამება ვაკანსიის პროფილს.

ბ) საქართველოს გეოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრის კონკურსანტის დავით სვანაძის შეფასება:

I ეტაპის შედეგების შეჯამება

კონკურსის პირველ ეტაპზე საკონკურსო კომისიის მიერ შემოწმდა საკონკურსო დოკუმენტაცია და შეფასდა წარმოდგენილ ანკეტაში მოყვანილი ინფორმაცია კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (აკადემიურ საბჭოს №118/2014 დადგენილების დანართი №4).

შეფასების I კატეგორიაში „ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“, წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე (კონკურსანტის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურობრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი), კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით “კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს”.

შეფასების II კატეგორიაში “პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“, მოცემული მონაცემების საფუძველზე (კონკურსანტის პედაგოგიური მოღვაწეობა, თსუ-ში წავითხული კურსები, სასწავლო-მეთოდური პუბლიკაციები, სილაბუსები და სხვ.) კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით “საშუალო”. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ორი სილაბუსიდან ერთი “გეოსაინფორმაცია (GIS) სივრცე-დროითი ანალიზი და სინთეზი” (მაგისტრატურა) პროგრამით გათვალისწინებულია და შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; ხოლო მეორე წარმოდგენილი სილაბუსი “დისტანციური ზონდირება და სივრცე დროითი ანალიზი”, კონკურსანტის ანკეტის 2.4 პუნქტით გათვალისწინებულ სასწავლო კურსების ჩამონათვალში მითითებული არ არის. ამასთანავე, მასში არც სწავლების საფეხურია აღნიშნული, და არც ძირითადი და დამხმარე ლიტერატურაა მითითებული; ზოგიერთი საკითხი კი თანხვედრაშია საბაკალავრო პროგრამის „გეოგრაფია“ საგნის “დისტანციური ზონდირება” სილაბუსთან.

შეფასების III კატეგორიაში “სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა” წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე (იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატია, საერთაშორისო პუბლიკაციები, სამეცნიერო კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები, ციტირების ინდექსი, თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან და ა.შ.), კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით “მაღალი”.

კონკურსანტის მიერ კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი სამეცნიერო ნაშრომი კომისიის მიერ შეფასდა როგორც სამეცნიერო დონეზე შესრულებული და დარგთან შესაბამისობაში მყოფი სამეცნიერო ნაშრომი. კონკურსანტი თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (პროექტებში მონაწილეობა, მივლინება/სტიპენდია/სტაჟირება) და სხვ. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევების კონცეფცია ნათლად ასახავს

კონკურსანტის ხედვას დარგის განვითარებაში, მის უშუალო წვლილს სასწავლო-სამეცნიერო პროცესის ხელშეწყობაში, გამოცდილებას GIS-ტექნოლოგიების გამოყენებაში, სტუდენტთა ჩართულობას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და სხვ. გამოიკვეთა კონკურსანტის უშუალო ჩართულობა და თაოსნობა საუნივერსიტეტო სივრცეში მიმდინარე როგორც კვლევით, ისე საგანმანათლებლო პროცესებში.

შეფასების IV კატეგორიაში “კონკურსანტის სხვა სახის აქტივობა” წარმოდგენილია აქტივობების ჩამონათვალის სახით: 2020 წლიდან მონაწილეობს, როგორც ხელმძღვანელი, საერთაშორისო საზაფხულო სკოლებში; მოეწყო ხანგრძლივ ვადიანი საზაფხულო სკოლები გერმანიაში ქ. კარლსრუეში და ენგურის კაშხალზე; 2005-2011 წლებში მონაწილეობდა და შემდგომში ხელმძღვანელობდა საველე გლაციოლოგიურ ექსპედიციებს; მონაწილეობა აქვს მიღებული, როგორც გეოგრაფს, კარტოგრაფსა და GIS სისტემების სპეციალისტს და სივრცითი მონაცემების დამუშავების ექსპერტს 15-ზე მეტ ურბანული/ქალაქმშენებლობით სივრცითი დოკუმენტაციის დამუშავების პროექტში; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოინფორმაციული სისტემების ლაბორატორიის ფარგლებში ხელმძღვანელობდა და მონაწილეობდა ორ სტუდენტურ პროექტში.

ფლობს კომპიუტერულ გეო-საინფორმაციო GIS და დისტანციური ზონდირების Remote Sensing პროგრამულ უზრუნველყოფებსა და სხვა დამხმარე პროგრამებს: ArcGIS; ArcGIS PRO; QGIS; Global Mapper; SNAP; AutoCAD Civil3D; Golden Software – Surface, Map Viewer, Grapher; ERDAS Imagine; Envi; SAGA GIS; Pix4D; GRASS GIS; ILWIS; Panoply, Google Earth pro; Microsoft Word, Excel, PowerPoint; Adobe Illustrator, Adobe Photoshop.

ფლობს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებს. შეფასების IV კატეგორიაში კონკურსანტი დავით სვანაძე კომისიის მიერ შეფასდა კრიტერიუმით “მაღალი”.

გადაწყვეტილება: კონკურსანტ დავით სვანაძეს მიენიჭა პრეტენდენტის სტატუსი და დაშვებულ იქნა მე-2 ეტაპზე. გასაუბრება დაინიშნა 2 ოქტომბერს 14:00 საათზე.

შეფასების I ეტაპის დასრულების შემდგომ, დადგენილი პროცედურის შესაბამისად, გაიმართა შეფასების მეორე ეტაპი – გასაუბრება.

II ეტაპის შედეგების შეჯამება

გასაუბრებისას კომისიის მიერ დასმული კითხვები ეხებოდა კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიურ საქმიანობას და სამეცნიერო თემატიკას. კერძოდ: სამეცნიერო კვლევების კონცეფციას, კონკურსანტის ანკეტიისა და სილაბუსებს შორის შეუსაბამობას, სილაბუსში შემჩნეულ ხარვეზებს, კონკურსანტის სალექციო კურსებს სოციალ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე და სხვ.

დასაბუთება

კონკურსანტ დავით სვანაძის მიერ წარმოდგენილ სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში მთავარი აქცენტი გაკეთებულია ახალ ტექნოლოგიებზე – გეოინფორმაციულ სისტემებზე (გის), დისტანციურ ზონდირებასა და სივრცით ანალიზზე. ეს მეტად მნიშვნელოვანია სწავლების პროცესში. იგი უდაოდ ძლიერი სპეციალისტია კონკრეტული მიმართლებით. თსუ გეოგრაფიის დეპარტამენტში ამ განხრით ოთხი მაღალი რანგის სპეციალისტია ჩართული – 1 ძირითად შტატში, 3 მოწვეული პედაგოგი (მ.შ. კონკურსანტი, როგორც მოწვეული პედაგოგი სამაგისტრო საგანზე). ყველა ეს სპეციალისტი ჩართულია არაერთ საერთაშორისო თუ ადგილობრივ

პროექტში. მათი კვალიფიკაცია და გამოცდილება პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, და შეესაბამება – გის-ტექნოლოგიების სფეროს. თუმცა, აღნიშნული მიმართულების (გის) საგნები არა საკონკურსო კათედრის (საქართველოს გეოგრაფია და ლანდშეფტური დაგეგმარება), არამედ სხვა კათედრის (გეომორფოლოგია, კარტოგრაფია) ფარგლებშია მოქცეული.

გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც, რომ გეოგრაფიის დეპარტამენტში სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სილაბუსების უმთავრესი მიზანია გეოგრაფიული ცოდნის შეძენა და კვლევის უნარების ჩამოყალიბება შესაბამისი დარგობრივი მიმართულებით, ახალი ტექნოლოგიები კი მხოლოდ ინსტრუმენტია ამ მიზნის მისაღწევად. გეოგრაფიის დეპარტამენტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები ზუსტად ამ უმთავრესს პრინციპს ეფუძნება და ისინი სრულიად აკმაყოფილებენ როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურაში სწავლების თანამედროვე სტანდარტებს.

კონკურსანტის მიერ შემოთავაზებული მიდგომა (რაც მან გასაუბრებისას გააჟღერა) იმის თაობაზე, რომ მას სურს გეოინფორმაციული სისტემების სწავლებაში ცვლილებების შეტანა, კერძოდ, გის-ების შესწავლა არა კარტოგრაფიის, არამედ სხვა კუთხით, სრულიად მიუღებელია. მისი აზრით, თავი უნდა დავანებოთ რუკების “ხატვას”. თემატური რუკების შედგენა რუკების ხატვას შეადარა.

გეოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემაში მრავალი უძველესი და თანამედროვე დისციპლინაა, მაგრამ შინაგანად ისინი ერთიანი არიან, რაც განპირობებულია უპირველესად უძველესი გეოგრაფიიდან წარმოშობითა და საბოლოო მიზნის ერთობით – დადგინდეს ადამიანთა საზოგადოებისა და გეოგრაფიულ გარემოს შორის ურთიერთქმედებათა ხასიათი და დაეხმაროს ადამიანს დედამიწის სივრცეების რაციონალურად და სრულყოფილად ათვისებაში. სწორედ ამავ მიზანს ემსახურება ახალი მეცნიერული მიმართულება, რომელიც ჩვენში გეოინფორმატიკის, გეოინფორმაციული კარტოგრაფირების სახელით დამკვიდრდა და რომელიც კარტოგრაფიის განუყოფელი ნაწილია. ამიტომ, დაუშვებელია გის-ების სწავლება კარტოგრაფიის გარეშე, განსაკუთრებით გეოგრაფიის სპეციალობის სტუდენტებისათვის. გის-ის რუკა, ისევე როგორც ხელით შექმნილი ადრინდელი რუკები, გარკვეულ კარტოგრაფიულ პროექციაში, გარკვეულ მასშტაბშია შექმნილი, და მასაც გააჩნია „რუკის ენა“ – კარტოგრაფიული ნიშნები.

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ გის-ები წარმოადგენს ინფორმაციულ ბაზას, რომელიც „კვებავს“ კარტოგრაფიას აუცილებელი მასალით. ამიტომ გაუგებარია, რატომ განიხილავს კონკურსანტი გის-ებს კარტოგრაფიის გარეშე.

რაც შეეხება სივრცით ანალიზს, რაზეც კონკურსანტი განსაკუთრებულ აპელირებას აკეთებს, რომ იგი თითქოს სთავაზობს სიახლეს სწავლებაში სივრცითი ანალიზის შემოტანით, გადაჭარბებული და არასწორია. საქმე ისაა, რომ გეოინფორმაციული სისტემა, რუკისა და მონაცემთა ბაზის გარდა, თავისთავად მესამე კომპონენტსაც – სივრცით ანალიზს მოიცავს. ეს ისედაც ასე იყო და სიახლეს არ წარმოადგენს! თანამედროვე გის-ები ამ მესამე კომპონენტის გარეშე არ არსებობს. ამის ამოკითხვა შეიძლება სახელმძღვანელოებსა და ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში.

იგივე შეიძლება ამოვიკითხოთ მისი თანაავტორობით თსუ სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გამოცემულ სახელმძღვანელოშიც (“გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები სოციალურ და პოლიტიკურ კვლევებში“, თსუ, 2021, გვ. 5). წიგნში ვკითხულობთ, რომ “...სამეცნიერო კვლევები და პრაქტიკული პროექტები თანამედროვე სოციალურ-

ეკონომიკურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დისციპლინებში, ისევე როგორც საბუნებისმეტყველო დარგებში, სულ უფრო ინტენსიურად და ფართოდ იყენებენ ინოვაციურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ სივრცითი ინფორმაციის შექმნის, დამუშავებისა და ასახვის სისტემას, რაც გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემის (გის) სახელითაა ცნობილი. გის ტექნოლოგია საყოველთაოდაა აღიარებული სივრცითი/ტერიტორიული კვლევების შესრულების საუკეთესო და, შესაბამისად, აუცილებელ ინსტრუმენტად... გის სტუდენტებს აძლევს სივრცითი აზროვნებისა და ანალიზის ხარისხობრივად ახალ, უნიკალურ უნარებს”. ამ განმარტებიდანაც მკაფიოდ ჩანს, რომ გეოინფორმაციული სისტემების სწავლება თავისთავად გულისხმობს სივრცითი ანალიზის შესწავლასაც.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სილაბუსი “დისტანციური ზონდირება და სივრცე დროითი ანალიზი”, რომელიც ანკეტის შესაბამის პუნქტში მითითებული არ არის, დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვალა შემდეგი მიზეზების გამო:

- მასში არ არის მითითებული სწავლების საფეხური;
- არ არის მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, ან სხვა სასწავლო მასალა, რომლითაც სტუდენტები ისარგებლებდნენ სწავლების პროცესში;
- კონკურსანტი სათანადოდ არ იცნობს გეოგრაფიის დეპარტამენტში მოქმედ სასწავლო გეგმას. წინააღმდეგ შემთხვევაში არ იქნებოდა მის მიერ წარმოდგენილ სილაბუსში იმ საკითხების გადაფარვა-დუბლირება, რაც უკვე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამითაა გათვალისწინებული. მაგალითად:

სალექციო კურსი: “დისტანციური ზონდირება” მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით	სალექციო კურსი: “დისტანციური ზონდირება და სივრცე დროითი ანალიზი” კონკურსანტის შემოთავაზებული
დისტანციური ზონდირების განვითარების ისტორია	დისტანციური ზონდირების ისტორია და განვითარება
ელექტრომაგნეტური რადიაცია, ელექტრომაგნეტური ენერგია, ურთიერთქმედების მექანიზმები, ელექტრომაგნიტური სპექტრი	ელექტრომაგნეტური ტალღები
სენსორები, სატელიტური მახასიათებლები, სკანერის სენსორული სისტემები	პასიური და აქტიური სენსორები
სივრცული რეზოლუცია, პიქსელის ზომა და მასშტაბი, სპექტრალური / რადიომეტრიული გარჩევადობა, სპექტრალური მახასიათებლები და სხვ.	სპექტრული ინდექსები, მათი გავრცელება და დროში ცვალებადობა

- სილაბუსი გადატვირთულია. მასში მითითებულია საკითხი “NDVI, EVI, NDWI, NDSI ინდექსები და მათი დროში ცვალებადობა“. ყველა ამ ინდექსის სწავლება შეუძლებელია ერთი სალექციო კურსის ფარგლებში და მათზე მხოლოდ ნარატიული ინფორმაციის მიწოდება შეიძლება სტუდენტებისათვის. ანუ შეუძლებელია მათი პრაქტიკული გამოყენების სწავლება და სტუდენტისათვის დავალების მიცემა, რომ თვითონ დამოუკიდებლად მოიპოვონ და დაამუშავონ მონაცემები, მითუმეტეს, როდესაც სილაბუსი ითვალისწინებს დროში მათი ცვალებადობის სწავლებასაც.

შეფასება

დავით სვანაძე მაღალი კვალიფიკაციის გის-სპეციალისტია. გასაუბრებისას კონკურსანტი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებდა სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მისი საქმიანობის შესახებ, როგორც გის-ლაბორატორიის გამგე და მიწვეული პედაგოგი. მის მიერ

საკონკურსო ანკეტაში (პუნქტი 2.4) მითითებული 13 საგნიდან, დოკუმენტებში მხოლოდ ორი სილაბუსია წარმოდგენილი – ერთი მოქმედი საგნის, რომელსაც თავად კითხულობს მაგისტრატურაში მოწვეული პედაგოგის სტატუსით; მეორე სილაბუსი კი მის მიერ შემოთავაზებული საგნების ჩამონათვალში არ არის ნახსენები; თან მასში ხარვეზები ფიქსირდება. კერძოდ, სილაბუსში აღნიშნული არ არის სწავლის საფეხური (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა), არ არის ასევე მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა; რამდენიმე საკითხი კი დუბლირებულია უკვე მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამასთან, რომელსაც დეპარტამენტის სხვა კათედრა ახორციელებს. სწორედ იმ კათედრის პროფილს შეესაბამება, ძირითადად, კონკურსანტის მიერ ჩამონათვალში მოცემული, გის-ტექნოლოგიებზე აგებული საგნები. და ბოლოს, მართებულად არ მიგვაჩნია კონკურსანტის პოზიცია – გის-ების სწავლება თემატური კარტოგრაფიის გარეშე, მით უფრო გეოგრაფიის სპეციალობის სტუდენტებისათვის.

მოქმედი დებულების თანახმად, შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ხუთმა წევრმა. კომისიის წევრს, პროფ. ნ. ელიზბარაშვილს, რომელიც საბუთების განხილვის პირველ ეტაპზე სხდომას არ ესწრებოდა, თსუ აკადემიური საბჭოს 118/2014 დადგენილების დანართი №1, მე-8 მუხლის, მე-2 პუნქტის საფუძველზე, არ მიეცა უფლება მონაწილეობა მიეღო საბოლოო გადაწყვეტილებაში (კენჭისყრაში).

გეოგრაფიის დეპარტამენტის საქართველოს გეოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრის ასოცირებული პროფესორის (1 საშტატო ერთეული - ა კატეგორია) გამოცხადებულ ვაკანტურ თანამდებობაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი რობერტ მაღლაკელიძის კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება გამართლებულია გეოგრაფიის დეპარტამენტის და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებით, მათი განვითარების პერსპექტივებით. გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტის მაღალ კვალიფიკაციას, თსუ-ში სასწავლო-სამეცნიერო სფეროში მუშაობის 40 წლამდე გამოცდილებას, სასწავლო-საველე პრაქტიკებში ჩართულობას, პროფილით გამოქვეყნებულ შრომებს საერთაშორისო რეიტინგულ ჟურნალებში, თანამშრომლობას WoS იმპაქტ-ფაქტორულ ჟურნალთან JEB (Journal of Environmental Biology) რეცენზენტის რანგში, მონოგრაფიების თანაავტორობას, საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობას, კონტაქტებს დარგში მოღვაწე საერთაშორისოდ აღიარებულ სპეციალისტებთან. სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში მიღებულ გამოცდილებას, პროფესიულ უნარ-ჩვევებს, პიროვნულ თვისებებს და ვაკანსიის პროფილის შესაბამისობას.

კომისიამ ერთხმად დაადგინა: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის საქართველოს გეოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრის ასოცირებული პროფესორის (ა კატეგორია) ერთ ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა დოქტორი რობერტ მაღლაკელიძე.

მოისმინეს:

საკითხი 2. კომისიის თავმჯდომარის პროფ. ზურაბ სეფერთელაძის შემაჯამებელი ინფორმაცია, კომისიის მიერ კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ. მან აღნიშნა, რომ საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის I ეტაპზე შემოწმდა და შეფასდა საკონკურსო დოკუმენტაცია. დოკუმენტები დალუქულ მდგომარეობაში იყო და კანდიდატის საკონკურსო დოკუმენტაციის ლუქებისა და შეფუთვის სიმრთელე დარღვეული არ იყო.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, გეოგრაფიის დეპარტამენტში ნიადაგების გეოგრაფიის კათედრის ასოცირებული პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე განაცხადი ერთმა კანდიდატმა შეიტანა – ბესიკ კალანდაძე.

ნიადაგების გეოგრაფიის კათედრის კონკურსანტის ბესიკ კალანდაძის შეფასება:

I ეტაპის შედეგების შეჯამება

კონკურსის I ეტაპზე საკონკურსო კომისიის მიერ შემოწმდა საკონკურსო დოკუმენტაცია და შეფასდა წარმოდგენილ ანკეტაში მოყვანილი ინფორმაცია კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (აკადემიურ საბჭოს მიერ №118/2014 დადგენილების დანართი №4).

შეფასების I კატეგორიაში „ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“ წარმოდგენილი მონაცემების (კონკურსანტის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურობრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი) საფუძველზე, კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით “კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს”.

შეფასების II კატეგორიაში “პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან” მოცემული მონაცემების (კონკურსანტის პედაგოგიური მოღვაწეობა, თსუ-ში წაკითხული კურსები, ტრენინგები, სილაბუსები და სხვ.) საფუძველზე, კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით “მაღალი”.

შეფასების III კატეგორიაში “სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა” წარმოდგენილი მონაცემების (იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები, საერთაშორისო პუბლიკაციები, საერთაშორისო კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები, ციტირების ინდექსი, თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან და ა.შ.), კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით “მაღალი”.

კონკურსანტის მიერ კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი სამეცნიერო ნაშრომი გამოქვეყნებულია იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში და კომისიის მიერ შეფასდა როგორც მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული და დარგთან სრულ შესაბამისობაში მყოფი სამეცნიერო ნაშრომი.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი კონცეფცია ნათლად ასახავს კონკურსანტის ხედვას დარგის განვითარებაში, მის უშუალო წვლილს სასწავლო-სამეცნიერო პროცესის ხელშეწყობაში, გამოცდილებას, ასევე სტუდენტთა ჩართულობას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და სხვ. გამოიკვეთა კონკურსანტის უშუალო ჩართულობა საუნივერსიტეტო სივრცეში მიმდინარე როგორც კვლევით, ისე საგანმანათლებლო პროცესებში საბაკალავრო, სამაგისტრო და

სადოქტორო პროგრამების დონეზე.

შეფასების IV კატეგორიაში “კონკურსანტის სხვა სახის აქტივობა” და “დამატებითი ინფორმაცია” გათვალისწინებულია აქტივობების ჩამონათვალი: მაგისტრანტებისა და დოქტორანტების საკვალიფიკაციო ნაშრომების ხელმძღვანელობა; სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე ხელმძღვანელობა; დარგობრივი კომისიების წევრობა; სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების დაცვის კომისიის წევრობა; ერაზმუს+ გაცვლითი პროგრამების საგამოცდო კომისიის წევრობა; გეოგრაფიის მიმართულების ზაფხულის სასწავლო-საველე პრაქტიკების თანახელმძღვანელობა; საერთაშორისო საზაფხულო სკოლის საველე ხელმძღვანელობა, 2021; გისენის ლიბიგის უნივერსიტეტის სტუდენტთა საველე ექსპედიცია ბაიერნ-ბომენის გეოპარკში – ექსპედიციის თანახელმძღვანელობა (2025); DAAD სტიპენდიანტი (2002; 2006; 2013); DFG სტიპენდიანტი (2009); საორგანიზაციო სამეცნიერო კომიტეტების წევრობა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე; ასევე უცხო ენებისა და კომპიუტერული პროგრამების ფლობა და სხვ., კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით “მაღალი”.

გადაწყვეტილება: კონკურსანტ ბესიკ კალანდაძეს მიენიჭა პრეტენდენტის სტატუსი და დაშვებულ იქნა მე-2 ეტაპზე – გასაუბრებაზე. გასაუბრება დაინიშნა 2 ოქტომბერს 13:30 საათზე.

შეფასების I ეტაპის დასრულების შემდგომ, დადგენილი პროცედურის შესაბამისად, გაიმართა შეფასების მეორე ეტაპი – გასაუბრება.

II ეტაპის შედეგების შეჯამება

გასაუბრებისას კომისიის მიერ დასმული კითხვები ეხებოდა როგორც სასწავლო-პედაგოგიურ საქმიანობას, ისე სამეცნიერო თემატიკას. კითხვები ეხებოდა შემდეგ მიმართულებებს: თანამშრომლობა გისენისა და შტუტგარტის უნივერსიტეტებთან და მათთან ერთობლივ სამეცნიერო კვლევები; სამომავლო გეგმები აღნიშნულ უნივერსიტეტებთან; სტუდენტების ჩართულობა აღნიშნულ კვლევებში; დაგეგმილი კვლევები აჭარაში, ქობულეთის რეგიონში; კლიმატის ცვლილების გავლენა ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, გისენისა და შტუტგარტის უნივერსიტეტებთან ერთობლივ კვლევებს უმზრისოლების გავრცელების რეგიონში.

დასაბუთება

კონკურსანტ ბესიკ კალანდაძის კანდიდატურის შეფასება ვაკანტურ თანამდებობაზე როგორც საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობით, ისე გასაუბრებით, მის მაღალ პროფესიულ კომპეტენციაზე მიუთითებს. ამას ხელს უწყობს მრავალწლიანი გამოცდილებაც, რომელიც ამ პოზიციაზე მას გააჩნია და ის აქტივობები, რომელსაც იგი ეწევა როგორც უნივერსიტეტში, ისე მის ფარგლებს გარეთ, მათ შორის საერთაშორისო არენაზე. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი კონცეფცია ნათლად ასახავს კონკურსანტის ხედვას დარგის განვითარებაში, მის უშუალო წვლილს სასწავლო-სამეცნიერო პროცესის ხელშეწყობაში, გამოცდილებას, ასევე სტუდენტთა ჩართულობას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და სხვ. გამოიკვეთა კონკურსანტის უშუალო ჩართულობა საუნივერსიტეტო სივრცეში მიმდინარე როგორც კვლევით, ისე საგანმანათლებლო პროცესებში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დონეზე.

გასაუბრებისას კონკურსანტმა დამაჯერებლად განმარტა მისი ხედვები დარგის შემდგომი

განვითრების კუთხით. მისი პასუხები სამეცნიერო და პედაგოგიურ პოტენციალის მაჩვენებელია. კონკურსანტი ხაზს უსვამს თანამშრომლობის გაძლიერებას გერმანიის უნივერსიტეტებთან როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო მიმართულებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთობლივი ექსპედიციების ჩატარება.

შეფასება

ბესიკ კალანდაძე მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტია. საკონკურსო კომისია დაეყრდნო კონკურსანტის აკადემიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას, მიერ გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობასა და რეიტინგს, სამეცნიერო თანამშრომლობის გამოცდილებას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, პროექტებში მონაწილეობას, პროფესიულ უნარ-ჩვევებს, პიროვნულ თვისებებს, სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში მიღებულ გამოცდილებასა და პროფესიულ უნარებს, რაც აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნებს და სრულიად შეესაბამება ვაკანსიის პროფილს.

მოქმედი დებულების თანახმად, შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ხუთმა წევრმა. კომისიის წევრს, პროფ. ნ. ელიზბარაშვილს, რომელიც საბუთების განხილვის პირველ ეტაპზე სხდომას არ ესწრებოდა, თსუ აკადემიური საბჭოს 118/2014 დადგენილების დანართი №1, მე-8 მუხლის, მე-2 პუნქტის საფუძველზე, არ მიეცა უფლება მონაწილეობა მიეღო საბოლოო გადაწყვეტილებაში (კენჭისყრაში).

გეოგრაფიის დეპარტამენტის ნიადაგების გეოგრაფიის კათედრის ასოცირებული პროფესორის (1 საშტატო ერთეული - ა კატეგორია) გამოცხადებულ ვაკანტურ თანამდებობაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი ბესიკ კალანდაძის კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება გამართლებულია გეოგრაფიის დეპარტამენტის და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებით, მათი განვითარების პერსპექტივებით. გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტის მაღალ კვალიფიკაციას, აკადემიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას, მის მიერ გამოქვეყნებულ სტატიების რაოდენობასა და რეიტინგს, სამეცნიერო თანამშრომლობის გამოცდილებას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, პროექტებში მონაწილეობას, პროფესიულ უნარ-ჩვევებს, პიროვნულ თვისებებს, სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში მიღებულ გამოცდილებას, პროფესიულ უნარებს და სრულად შესაბამისობას ვაკანსიის პროფილთან.

კომისიამ ერთხმად დაადგინა: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის ნიადაგების გეოგრაფიის კათედრის ასოცირებული პროფესორის (ა კატეგორია) ერთ ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა დოქტორი ბესიკ კალანდაძე.


მოისმინეს:

საკითხი 3. კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს მიერ №118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად დაადგინა: შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე, ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის წევრების ხელმოწერა:


პროფ. ზურაბ სეფერთელაძე

კომისიის თავმჯდომარე




პროფ. ლია მაჭავარიანი

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე




ასოც. პროფ. ლამზირა ლალიძე

კომისიის მდივანი



პროფ. დალი ნიკოლაიშვილი

კომისიის წევრი



ასოც. პროფ. გიორგი ბრეგვაძე

კომისიის წევრი

